

პროფესიული უნარების ტესტი

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღიადაბოლოებიანი დავალებები (სულ 44 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დანერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საბიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ ან/და გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 1

ჩამოთვლილი სიტუაციებიდან რომელი აღწერს მართებულად ურთიერთსწავლებას, როგორც კონსტრუქტივისტულ მეთოდს?

- ა) მოსწავლე ხმამაღლა მსჯელობს იმ ამოცანის ამოხსნის გზებზე, რომელიც სხვა მოსწავლეებმა ვერ შეასრულეს.
- ბ) მასწავლებელი აქტიური მსმენელია, მოსწავლე აცნობს მას თემასთან დაკავშირებით მოძიებულ ინფორმაციას.
- გ) მოსწავლე, ჯგუფური მუშაობის დროს, ეთანხმება ლიდერის პოზიციას და იცვლის საკუთარ შეხედულებას.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში იძენს პროფესიულ გამოცდილებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 2

ყველა სკოლას შეიძლება არ ჰქონდეს მდიდარი სასწავლო რესურსი, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მის ხელთ არსებული მასალა ისე გამოიყენოს, რომ ის მოსწავლეებისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი გახდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ნაკლებად ეფექტიანი ხერხი იმისათვის, რომ მასწავლებელმა სასწავლო ტექსტი, როგორც რესურსი მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს?

- ა) მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალონ მოცემული ტექსტის ფინალი.
- ბ) მასწავლებელი ტექსტს გადააქცევს სიტუაციურ ამოცანად და მოსწავლეებს ავალებს მოცემული პრობლემის გადაჭრაზე მუშაობას.
- გ) მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, ტექსტში მოცემული ინფორმაცია წარმოადგინონ ნახატების, სქემების ან დიაგრამების სახით.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, აზნაცებად დაყოფილი ტექსტი გაინაწილონ და თითოეული აზნაცი დაისწავლონ მათთვის სასურველი მეთოდით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 3

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობით კულტურას.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მკაფიოდ რომელი დებულება მიუთითებს სასკოლო სიტუაციაში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მაღალ ხარისხზე?

- ა) მასწავლებლები პატივისცემით ეკიდებიან ერთმანეთის საქმიანობას, მაგრამ ერთობლივად მხოლოდ ზოგად სასკოლო საკითხებს განიხილავენ.
- ბ) მასწავლებლები, კონფლიქტის არიდების მიზნით, კოლეგების სასწავლო პრაქტიკის შესახებ მხოლოდ პოზიტიურ მოსაზრებებს გამოთქვამენ.
- გ) მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროგრამას და მისი განხორციელების შემდეგ მიღწევებთან ერთად სუსტ მხარეებსაც აღნიშნავენ.
- დ) მასწავლებლები კოლეგებს უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას, მაგრამ ერთმანეთს არ აძლევენ შენიშვნებს და არაფერს უსწორებენ.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 4

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ყველაზე ადეკვატური რეაქცია, როცა მოსწავლე მის შეკითხვას შეცდომით უპასუხებს?

- ა) მასწავლებელი საყვედურის გარეშე ეუბნება მოსწავლეს სწორ პასუხს და უხსნის, რატომ არის ის სწორი.
- ბ) მასწავლებელი იყენებს იგნორირების სტრატეგიას და შეკითხვით უფრო კომპეტენტურ მოსწავლეს მიმართავს.
- გ) მასწავლებელი არ ამახვილებს ყურადღებას შეცდომაზე, წახალისებს მოსწავლის აქტიურობასა და ჩართულობას.
- დ) მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის პასუხის სწორ კომპონენტზე და შემდეგ მიანიშნებს, სად არის შეცდომა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 5

მასწავლებელმა წინასწარ მოამზადა სასწავლო რესურსი. მან შეადგინა ტექსტი, რომელიც ეხებოდა ახალი გზის გაყვანას და მასთან დაკავშირებულ უარყოფით შედეგებს. გარდა ამისა, მოსწავლეებს მისცა წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც მათ ტექსტის დახმარებით უნდა შეეცნოთ.

მოცემული შეკითხვებიდან რომელი უწყობს ხელს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას?

ა) რა უარყოფითი შედეგები მოჰყვება ახალი გზის გაყვანას?

ბ) რა მოსაზრებები მოგისმენიათ ახალი გზის გაყვანის შესახებ?

გ) რატომ მიგაჩნიათ, რომ ამ გზის გაყვანა აუცილებელი იყო?

დ) რომელ ორ პუნქტს აკავშირებს ახალი გზა?

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 6

ჩამოთვლილთაგან რომელი უპირატესობით გამოირჩევა დიუსის „პროგრესული განათლება“ ტრადიციული სწავლებისაგან?

- ა) სასწავლო გეგმა შედგენილია მოსწავლეთა ქცევის ზოგადი ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტელექტის გათვალისწინებით.
- ბ) ფაქტობრივი ცოდნა მეორეხარისხოვანია, მოსწავლეები შეიძენენ იმ უნარებს, რომელთა გამოყენებასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებენ.
- გ) უფრო ინტენსიურად იყენებენ ისეთ ნაცად პედაგოგიურ ხერხებს, როგორცაა საერთო საკლასო მუშაობა და სავარჯიშოების დაფასთან შესრულება.
- დ) მოსწავლეებს არ ტვირთავენ წარსულთან დაკავშირებული ინფორმაციით, რადგან უსარგებლოდ მიაჩნიათ ამის ცოდნა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 7

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: ჰიპერაქტიური მოსწავლის ქცევის რეგულირება და კონტროლი.

აქტივობა: მასწავლებელი იყენებს ტაიმერს და ჰიპერაქტიურ მოსწავლეს 15 წუთიანი ინტერვალით აძლევს დავალებას, რომელიც საკლასო ოთახში გადაადგილებას მოითხოვს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

აღწერილი აქტივობა მიზნის:

- ა) ადეკვატურია, რადგან პერიოდულად მოძრაობის საშუალების მიცემით მასწავლებელი თავიდან აიცილებს ჰიპერაქტიური მოსწავლის უნებლიე გადაადგილებას საკლასო ოთახში.
- ბ) ადეკვატური არ არის, მასწავლებელი არღვევს თანასწორობის პრინციპს, რადგან დანარჩენ მოსწავლეებსაც არ აძლევს საშუალებას, დაიკმაყოფილონ მოძრაობის მოთხოვნილება.
- გ) ადეკვატურია, რადგან სხვა მოსწავლეების მსგავსად, ჰიპერაქტიური მოსწავლეც მასწავლებლისგან გარკვეული ინტერვალით უნდა იღებდეს ასეთ დავალებებსა და მითითებებს.
- დ) ადეკვატური არ არის, რადგან მასწავლებელი ყურადღების ცენტრში არ უნდა აქცევდეს ჰიპერაქტიურ მოსწავლეს და აქცენტს არ უნდა აკეთებდეს მის პრობლემურ ქცევაზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 8


სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება ხელს უწყობს მოსწავლეთა ეფექტიან სწავლებას, მათი მოტივაციის ზრდას.

პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ:

- ა) მასწავლებელმა დაუსახოს მოსწავლეს მხოლოდ მისი შესაძლებლობების შესაბამისი ამოცანები.
- ბ) მასწავლებელმა ხშირად გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასება და წახალისების მიზნით მოსწავლეებს „წაუმატოს“ ქულა.
- გ) მასწავლებელმა კლასში შექმნას სტანდარტული პირობები მოსწავლეების მიერ შესაძლებლობების გამოხატვისათვის.
- დ) მასწავლებელმა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს სასწავლო მიზნები, შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლისათვის ნათელი გახადოს, თუ რას მოელის მისგან.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 9



მასწავლებელმა მოსწავლეებს დაფაზე ჩამოუწერა რიცხვები: 2; 3,5; $\sqrt{5}$; $\frac{1}{2}$, 5,(6); -8; -15,2; -1/2; $-\sqrt{7}$ დაავალა მათი დაჯგუფება და ამ დაჯგუფების პრინციპების ახსნა. შემდეგ აუხსნა რიცხვთა სიმრავლეები და სთხოვა, საკუთარი ნამუშევარი შეედარებინათ სქემისათვის და მის მიხედვით თავიდან დაეჯგუფებინათ რიცხვები.

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა აღწერს ყველაზე უკეთ გამოყენებული სტრატეგიის მიზანშეწონილობას ბრუნერის თეორიის მიხედვით?

- ა) მოსწავლეებს გააჩნიათ სამყაროს ორგანიზების წინასწარ განსაზღვრული სქემები, რომლებიც ხელს უწყობს ახალი ინფორმაციის დიდხანს შენახვას მეხსიერებაში.
- ბ) მოსწავლეები ზოგჯერ არასათანადოდ განაზოგადებენ ცნებებს, ამიტომ აუცილებელია, მასწავლებელმა მიაწოდოს მათ სწორი სქემები.
- გ) მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განუვითარდეთ აბსტრაქტული აზროვნების უნარი, რაც თვალსაჩინო სქემების გარეშე შეუძლებელია.
- დ) მასალის დასწავლისათვის აუცილებელია, მოსწავლეებმა დაინახონ კავშირები მასალის ელემენტებს შორის და შექმნან შესაბამისი სქემები.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 10

მასწავლებელმა გაკვეთილის მიზნის შესაბამისად უნდა შეარჩიოს პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების სტრატეგიები.

არაპირდაპირი სწავლების გამოყენების უპირატესობა/უპირატესობებია:

- I. მოსწავლეებს უვითარდებათ კვლევა-ძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.
- II. მოსწავლეები სწრაფად იღებენ დიდი მოცულობის ფაქტობრივ ინფორმაციას.
- III. მოსწავლეებს უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და III
 - გ) მხოლოდ II
 - დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 11

ბანდურას განმარტებით, თვითეფექტიანობა არის ადამიანის რწმენა, რომ მას შესწევს უნარი, გაუმკლავდეს გარკვეული ტიპის ამოცანებს. თვითეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია პირადი გამოცდილება; როგორც წესი, წარმატებული ქცევა ზრდის თვითეფექტიანობას, მარცხი კი - ამცირებს.

პირადი გამოცდილებისა და თვითეფექტიანობის ურთიერთმიმართების შესახებ რომელი დასკვნის/დასკვნების გამოტანაა მართებული?

- I. მაღალი თვითეფექტიანობის მქონე მოსწავლეებზე შემთხვევითი წარუმატებლობა გავლენას არ ახდენს.
- II. წარმატება ამაღლებს თვითეფექტიანობას, თუ ის დამოუკიდებლად არის მიღწეული და არა სხვების დახმარებით.
- III. წარუმატებლობა ყველაზე მეტად მაშინ ამცირებს თვითეფექტიანობას, როდესაც მოსწავლე საკუთარ პოტენციალს სრულად არ იყენებს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 12

ჯგუფური მუშაობის დროს ერთი ჯგუფის წევრები ერთმანეთთან წაკამათდნენ იმის თაობაზე, თუ ვინ იქნებოდა ჯგუფური მუშაობის შედეგების პრეზენტატორი.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის გამოყენებით შეძლებს მასწავლებელი ყველაზე უკეთესად ამ კონფლიქტის მოგვარებას?

- ა) მასწავლებელი კონფლიქტის მონაწილეებს ურჩევს პოზიციის დათმობას და ჰპირდება, რომ მომავალში მათ დააკისრებს ლიდერის როლს.
- ბ) მასწავლებელი სთავაზობს ჯგუფის ნებისმიერ წევრს, სურვილის შემთხვევაში, სხვა დროს ჯგუფისგან დამოუკიდებლად გააკეთოს პრეზენტაცია.
- გ) მასწავლებელი სთავაზობს კონფლიქტის მხარეებს, გაინაწილონ მასალა ინტერესების მიხედვით და გააკეთონ ერთობლივი პრეზენტაცია.
- დ) მასწავლებელი სთავაზობს კონფლიქტში ჩართულ მოსწავლეებს, მოამზადონ პრეზენტაცია, რათა ჯგუფმა აირჩიოს მათ შორის საუკეთესო.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 13

ტესტი მოსწავლის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა ტესტი და რა მიზნისთვისაა შექმნილი, იგი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის აუცილებელი მოთხოვნა/მოთხოვნები, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს მასწავლებელი ტესტირების დროს?

- I. ტესტური დავალებები აგებული უნდა იყოს განვილილ მასალაზე, იმ საკითხებზე, რისი შემოწმებაც მასწავლებელს სურს.
- II. ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემით, დადგენილი უნდა იყოს ქულათა რაოდენობა.
- III. მნიშვნელოვანია, არ შეიზღუდონ მოსწავლეები დროის ლიმიტით და მიეცეთ მათ ტესტის ბოლომდე დასრულების საშუალება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაში/მსჯელობებშია ასახული უზნაძის თეორიის პრინციპები?

- I. მასწავლებელმა, ძირითადად, უნდა იზრუნოს მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაზე, რაც მათი წარმატებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.
- II. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა წარმატებას მიაღწიონ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მათი ინტერესების გამოვლენაზე, შეისწავლოს მათი ხასიათი და თვისებები.
- III. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეთა თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე, რასაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესში ნიშნებით შეფასების ხშირად გამოყენება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 15

მასწავლებელი სთავაზობს კლასს, შეარჩიონ ადგილი კლასგარეშე აქტივობის ჩასატარებლად. მოსწავლეთა უმეტესობას ხელოვნების მუზეუმში წასვლა სურს. ერთი უკმაყოფილო მოსწავლე კი ამბობს: „მე მათემატიკა მაინტერესებს და არა ხელოვნება“.

აღწერილ სიტუაციაში მასწავლებლის რომელი სტრატეგია იქნება ყველაზე ეფექტიანი იმისათვის, რომ მოსწავლე ჩაერთოს კლასგარეშე აქტივობაში?

- ა) მისცეს მოსწავლეს საშუალება, მხოლოდ იმ აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც მათემატიკის პრაქტიკაში გამოყენებას შეეხება.
- ბ) აუხსნას მოსწავლეს, რომ ხელოვნება და, ზოგადად, მრავალმხრივი განათლება დაეხმარება პიროვნულ განვითარებაში.
- გ) მოსწავლისათვის ინდივიდუალურად დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობა, რათა გაითვალისწინოს მისი ინტერესებიც.
- დ) გააცნოს მოსწავლეს, როგორ გამოიყენება მათემატიკური მოდელები ხელოვნების ნიმუშების შესაფასებლად.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 16

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა გარეგანი მოტივაციის ამაღლებაში?

- ა) მასწავლებელმა სასწავლო აქტივობა უნდა დაუკავშიროს კონკრეტული მოსწავლის ცნობისმოყვარეობას.
- ბ) მასწავლებელმა დავალებების განაწილების დროს მოსწავლეებს უნდა მისცეს არჩევანის შესაძლებლობა.
- გ) მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები და საუკეთესო ნაშრომი დამატებით დააჯილდოს.
- დ) მასწავლებელმა უნდა მოაწყოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და ორგანიზება თავად მოსწავლეებს დაავალოს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალბა 17

მასწავლებლის მიზანია, იზრუნოს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებაზე. სემესტრის მიწურულს ის მშობლებს უგზავნის წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ მიუხედავად მრავალჯერადი მითითებისა, მათი შვილის აკადემიური მოსწრება კვლავ არაა დამაკმაყოფილებელია. პედაგოგი სთხოვს მშობლებს, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ მოსწავლის სწავლის პროცესში და იქონიონ მასზე ზეგავლენა. მშობლები შვილს საყვედურობენ და ურჩევენ, მეტი იმუშაოს.

მასწავლებლის ქმედება მის მიერ დასახული მიზნის:

- ა) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლეს მშობლების შიში და რიდი უფრო აქვს, იგი მომავალში შეეცდება გაიუმჯობესოს შედეგები და არ გაანაწყენოს ისინი.
- ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან მასწავლებელს მშობლებისთვის პრობლემის გამწვავებამდე პერიოდულად უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია და საქმის კურსში ჩაეყენებინა ისინი.
- გ) **ადეკვატურია**, რადგან მშობლებთან წერილობითი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, მათ მეტი დრო ეძლევათ სიტუაციის გასაანალიზებლად და სწორი სტრატეგიის შესამუშავებლად.
- დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან წერილი მშობლებისთვის უსიამოვნო იქნება, მასწავლებელი პრობლემებს საკუთარი ძალებით უნდა აგვარებდეს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

შესაბამისობის დავალებები ერთჯულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 18

ცხრილის A სვეტში მოცემულია მოსწავლის ქცევა, ხოლო B სვეტში მისი კორექციის მექანიზმი, რომელიც მასწავლებელმა გამოიყენა სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიის მიხედვით. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქცევა (A)	მექანიზმი (B)
I. მასწავლებელი კითხვით მიმართავს მორცხვ მოსწავლეს. მოსწავლე მასწავლებელს თვალს არიდებს და თავს იკავებს პასუხისაგან. მასწავლებელი მოსწავლის ქცევას ურეაქციოდ ტოვებს და შეკითხვით სხვას მიმართავს.	ა) პოზიტიური დასჯა ბ) პოზიტიური განმტკიცება
II. მოსწავლეს, რომელიც აქტიურობს და ცდილობს ყურადღებით იყოს გაკვეთილზე, მასწავლებელი ყოველთვის გადასცემს ჯილდოს, რომელზეც კლასი შეთანხმდა.	გ) ნეგატიური დასჯა
III. მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში ჩართული არ არის, თავი მობილურ ტელეფონში აქვს ჩარგული და რაღაცას თამაშობს. მასწავლებელი მოსწავლეს უხმოდ ართმევს ტელეფონს.	დ) ნეგატიური განმტკიცება

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 19

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა, ხოლო B სვეტში უნარი, რომლის განვითარებასაც შეუწყობს ხელს ეს აქტივობა. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	უნარი (B)
I. მასწავლებელმა მოსწავლეებს სინონიმისა და ანტონიმის მნიშვნელობა აუხსნა, რამდენიმე მაგალითი მოუყვანა და დავალებად მისცა უცნობ ლექსში მათი მოძებნა და ამოწერა.	ა) ტრანსფერის
II. ნაწარმოების დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩამოუწერა ორი პერსონაჟის კონკრეტული მახასიათებლები და ვენის დიაგრამის გამოყენებით მათ შორის მსგავსება - განსხვავების აღმოჩენა დაავალა.	ბ) კრიტიკული აზროვნების გ) ანალიტიკური აზროვნების
III. მასწავლებელმა მოსწავლეებს საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის ავტორის მოტივაციის შეფასება დაავალა.	დ) შემოქმედებითი აზროვნების

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 20

ჯგუფური მუშაობის პროცესი შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად: მოსამზადებელი, მუშაობის და შემაჯამებელი.

ცხრილის A სვეტში მოცემულია კონკრეტული ქმედება, B სვეტში - ჯგუფური მუშაობის ეტაპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქმედება (A)	ჯგუფური მუშაობის ეტაპი (B)
I. მოსწავლეები განიხილავენ პრობლემას, მასწავლებელი პასიური დამკვირვებლის როლშია.	ა) მოსამზადებელი ბ) მუშაობის გ) შემაჯამებელი
II. მასწავლებელი ჯგუფს აცნობს, რა უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგი და როდის უნდა დაამთავრონ მუშაობა.	
III. ჯგუფი იღებს უკუკავშირს როგორც თავისი, ასევე სხვა ჯგუფის წევრებისა და მასწავლებლისაგან.	
IV. ჯგუფი მოიძიებს ინფორმაციას და მის საფუძველზე წარადგენს პრეზენტაციას, პასუხობს მოსწავლეთა და მასწავლებლის შეკითხვებს.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

სასკოლო განათლების მიზანი მოსწავლეებისთვის ცოდნის მიწოდება და მათი ზნეობრივი აღზრდაა. პედაგოგები ხელს უნდა უწყობდნენ საზოგადოების ღირსეული წევრის, ჯანსაღი ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ილია ჭავჭავაძე ასე მსჯელობს პიროვნების უფლებასა და ზნეობრიობაზე:

„დღეს-აქამომდე გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინიდისი და ერთობ ყოველივე - რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვექცევით, როგორც ფეხის მტვერსა. ადამიანის ღირსება, პატიოსნება მისი ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი...ბევრია ჩვენში ამისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახლოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში გამოვლანძლეო.“

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

- აღწერეთ ორი აქტივობა, რომლებიც დაგეხმარებათ, აღზარდოთ თქვენი მოსწავლეები ჯანსაღი ღირებულებების მქონე, ზნეობრივ პიროვნებად. დაასაბუთეთ თითოეული აქტივობის მართებულობა.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 7a 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23 24 25 26 27 28 29
30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება 22

მასწავლებელმა შაქრის ნატეხი წყლიან გამჭვირვალე ჭიქაში ჩააგდო. ჭიქაში წყლის დონემ აიწია. მასწავლებელმა მოსწავლეებს ჰკითხა: „რა მოხდება, როცა შაქარი გადნება“? მოსწავლეებმა უპასუხეს, რომ წყლის დონე დაიწევს, თუმცა ვერ ახსნეს, რატომ.

გაიხსენეთ კოგნიტური განვითარების სტადიები პიაჟეს თეორიის მიხედვით და უპასუხეთ შემდეგ მითითებებს:



- სწავლების რა სტრატეგია უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს კოგნიტური განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლაში?
- დასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალებები 23-27 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტსივრცეში პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას კითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

თითოეული წერილი დასათარებელია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

თითოეული დავალება (23-27) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც დავალებას თან ახლავს და **პასუხი დაასაბუთეთ.**

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
- [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინტელექტუალური ჩართულობა



ლიზა ჩადუნელი

ჩემი მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჩართულობით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან, არ მინდა გაკვეთილი მხოლოდ კლასის იმ მცირე ნაწილის „ხარჯზე“ წარმართო, ვინც თვითონ იჩენს სწავლის ინიციატივას. დანარჩენების გასააქტიურებლად დიდი ძალისხმევა მჭირდება - ვაძლევ ინდივიდუალურ დავალებებს, მივმართავ შეკითხვით დისკუსიის პროცესში, ვრთავ ჯგუფურ მუშაობებში. ამით ისინი ფორმალურად დროებით ერთვებიან გაკვეთილში, უფრო ერთობიან, ვიდრე აზროვნებენ.

მირჩიეთ, რომელი მეთოდი გამოვიყენო იმისათვის, რომ საგაკვეთილო პროცესში კლასი არა მხოლოდ ხალისით, არამედ გონებრივადაც იყოს ჩართული.



მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 14:27-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა



მანანა ბაქრაძე

კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მყავს. მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით მისთვის აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, მე კი ამის გამოცდილება არ მაქვს.

იქნებ ამიხსნათ, რა პირობების გათვალისწინებაა საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 12:37-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

კლასგარეშე საქმიანობა



ნანა ჯანაშია

ჩემი შვილი სკოლის ეკოკლუბშია გაერთიანებული. კვირაში ორჯერ იკრიბებიან გაკვეთილების შემდეგ. უკმაყოფილო ვარ, რადგან სახლში გვიან ბრუნდება დაღლილი და გაკვეთილების მომზადება ეზარება. მირჩევნია, საქმეს მიხედოს და კლასგარეშე აქტივობებს თავი დაანებოს.

არ მესმის, რატომ არის მნიშვნელოვანი კლასგარეშე საქმიანობა და საერთოდ რა მიზანს ემსახურება ასეთი კლუბების არსებობა?



მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 18:34-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
- [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ახალი ცნებებისა და ტერმინების დასწავლა



ნინო დიხამინჯია

ჩემს მოსწავლეებს ახალი ცნებებისა და ტერმინების განმარტებას როდესაც ვთხოვ, სხაპასხუპით მპასუხოვენ. რამდენჯერმე შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ განმარტებები მხოლოდ დაზეპირებული აქვთ.

მირჩიეთ, რა სტრატეგია გამოვიყენო იმისათვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა ახალი ცნებები და ტერმინები გააზრებულად დაისწავლონ?



მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 17:49-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

პრეზენტაციის მომზადება



ლადო ჭირაქაძე

თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი გვავალებს პრეზენტაციის მომზადებას. ძალიან მომწონს საპრეზენტაციო მასალების მოძიება და ტექსტის ილუსტრაციებით გაფორმება, ამიტომ ამ დავალებას ხალისით ვასრულებ, მაგრამ პრეზენტაციაში მაღალი ქულა არასოდეს მიმიღია.

იქნებ მირჩიოთ, კიდევ რა აუცილებელი პირობა უნდა გავითვალისწინო იმისათვის, რომ პრეზენტაცია სრულყოფილი გამოვიდეს?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 12:24-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
- [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ღიადაბოლოებიანი დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, ადამიანები სხვა ადამიანებზე დაკვირვებით და მათი ქცევის მოდელირებით სწავლობენ. მოსწავლეები ცდილობენ, მიზამონ მხოლოდ გარკვეული თვისებების მქონე ადამიანებს.

ბანდურას თეორიის მიხედვით, დაკვირვებით დასწავლა რომ ეფექტიანი იყოს, მოდელს უნდა ახასიათებდეს:

- ✚ კომპეტენტურობა - მოსწავლეები, ჩვეულებრივ, ცდილობენ, ისეთ ადამიანებს მიზამონ, რომლებიც, მათი აზრით, მოცემულ საკითხში ძალიან კარგად ერკვევიან, აქვთ რაიმეს კარგად გაკეთების უნარი. სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც კი შეუძლიათ, ადეკვატურად შეაფასონ მოდელის კომპეტენტურობა.
- ✚ სქესისთვის შესაფერისი საქციელი - მოსწავლეები ისეთ მოქმედებებს უფრო სწავლობენ და ითვისებენ, რომლებიც, მათი აზრით, მათი სქესისთვის არის შესაფერისი და დამახასიათებელი. გოგონამ უფრო ხშირად შეიძლება მოდელი ქალის ქცევა მიიჩნიოს მისი სქესისთვის შესაფერისად და გაიმეოროს, ვაჟმა კი - მოდელი კაცის.

დაასახელეთ, მოდელის კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელზეც აქცენტი უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ მოსწავლემ მოდელზე დაკვირვებით ქცევა დაისწავლოს:

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
- [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ ან/და გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 29

გიორგი მშობლებმა ახალ სკოლაში გადაიყვანეს. ერთ-ერთმა თანაკლასელმა ხმამაღლა გამოაცხადა - „ეს ახალი ტიპი გვერდით არ დამისვათ“. სხვებიც აჰყვნენ და გიორგის მიმართ კლასში თანდათანობით ცუდი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. იგი სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა ბულინგის მსხვერპლი.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი რჩევა დაეხმარება მოსწავლეს აღწერილი პრობლემის მოგვარებაში?

- ა) ესაუბრეთ მოსწავლეებს მსხვერპლის განცდების შესახებ, ამით გაუჩინთ მათ სიბრაღისა და ლმობიერების განცდას.
- ბ) გამართეთ დისკუსია აღწერილ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ამით შეძლებთ, მოძებნოთ პრობლემის გადაჭრის გზა.
- გ) განიხილეთ კონკრეტული პრობლემა მშობლებთან საერთო შეხვედრის დროს, ამით ჩართავთ მათ პრობლემის მოგვარების პროცესში.
- დ) შეეცადეთ, მოსწავლე წარმოაჩინოთ თანაკლასელების წინაშე მათთვის საინტერესო კუთხით, ამით მოსწავლეს დაეხმარებით თვითდამკვიდრებაში.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 30

საშინაო დავალება ნაკლებად სარგებლობს პოპულარობით მოსწავლეებს შორის და ეს მასწავლებლებისთვისაც ცნობილია. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, საშინაო დავალება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

რომელი ფაქტორი განაპირობებს ყველაზე ნაკლებად საშინაო დავალების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას?

- ა) დავალება მოიცავს მხოლოდ ნაცნობ პრობლემებს და არ მოითხოვს მოსწავლისგან დიდ დროსა და ძალისხმევას.
- ბ) სასწავლო მასალა მოიცავს ბევრ აბსტრაქტულ მსჯელობას, დატვირთულია ცნებებითა და გამოთვლებით.
- გ) მასალა იმდენია, რომ მოსწავლე ცდილობს, სწრაფად შეასრულოს და მისი გააზრებისთვის დრო არ რჩება.
- დ) დავალების თემა ახალია და მისი შესრულება მოსწავლისგან გონებრივ და ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 31

სწავლების სხვადასხვა თეორია გვთავაზობს სასწავლო პროცესის მართვის განსხვავებულ მოდელს.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან რომელია სასწავლო პროცესის მართვის ბიჰევიორისტული მოდელი?

- ა) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ანალიზებს მათ ქცევას და ურჩევს, იფიქრონ საკუთარი ქცევის თვითრეგულაციაზე.
- ბ) მოსწავლეს, რომელმაც არ შეასრულა საშინაო დავალება, მასწავლებელი ეუბნება: „დაფიქრდი, რატომ ვწერთ საშინაო დავალებებს“?
- გ) მასწავლებელი ქმნის შესაბამის გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლემ იმოქმედოს დამოუკიდებლად, მისი ქცევა არ იყოს შეზღუდული.
- დ) ქცევის შედეგების გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეს ავალეს, ბევრჯერ გადაწეროს წინადადება: „ჩემი ხმაურით ხელს ვუშლი გაკვეთილის მიმდინარეობას“.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 32

გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის შესაფასებლად მასწავლებელი ქვემოთ წარმოდგენილ სქემას იყენებს:

დადებითი მაჩვენებლები	ყოველთვის	ხანდახან	იშვიათად	არასდროს
1. მონაწილეობს დისკუსიებში.				
2. მეტყველებს ლოგიკურად. წინადადებებს ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს.				
3. სვამს კითხვებს, ითხოვს განმარტებებს.				
უარყოფითი მაჩვენებლები				
1. გარკვევით არ მსჯელობს, უჭირს არგუმენტების მოყვანა.				
2. გაკვეთილზე იგვიანებს და უყურადღებოა.				

შეფასების სქემის მიმართ არსებული მოთხოვნებიდან რომელი არ დაიცვა მასწავლებელმა მოცემული სქემის შედგენის დროს?

ა) ვალიდობა

ბ) სანდოობა

გ) გამჭვირვალობა

დ) ობიექტურობა

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 33

მასწავლებლის რომელი მიდგომა განაპირობებს კლასში ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას?

- ა) მასწავლებლის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, მიიღონ წარმატება, როგორც ჯილდო, ხოლო მარცხი, როგორც სასჯელი. აუხსნას მათ, რომ შეცდომა სისუსტის ნიშანია. უმჯობესია, პასუხის გაცემისას კარგად დაფიქრდნენ, რომ არ შეცდნენ.
- ბ) მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ დიდ ყურადღებას აქცევს მათ მონდომებასა და სწავლის ხარისხს. აუხსნას, რომ მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგამდე მისვლა და არა ის, თუ რამდენჯერ მოუწევთ მათ ნიშნის გამოსწორება.
- გ) მასწავლებელი ცდილობს, დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ მაღალი ინტელექტი არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა წარმატებას სწავლაში და რომ წარმატების მიღწევა ყველაზე სხარტსა და თავდაჯერებულს შეუძლია.
- დ) მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ, სასურველია, საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ სასწავლო მასალას, იყვნენ თავდაჯერებულები, ნუ იქნებიან სხვისი დახმარების იმედად, რადგან კარგ მოსწავლეს დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 34

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობებიდან რომელია ყველაზე ეფექტიანი გაკვეთილის საწყის ფაზაზე მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის უზრუნველსაყოფად?

- ა) „გავიმეოროთ განვლილი მასალა: გადაშალეთ წიგნები 104-ე გვერდზე, წაიკითხეთ მოცემული პარაგრაფი და უპასუხეთ თანდართულ კითხვებს.“
- ბ) „ინტერნეტში ერთი სტატია წავიკითხე და თქვენ მოგიტანეთ გასაცნობად. ვფიქრობ, იქ ბევრი უცხო სიტყვა შეგხვდებათ, ვნახოთ, იქნებ ვცდები?!“
- გ) „ვიცი, რომ თქვენთვის მოულოდნელია, მაგრამ დღეს მინდა მინი ტესტირება ჩავატარო, მაინტერესებს, კარგად გაიგეთ თუ არა ახსნილი მასალა.“
- დ) „მაინტერესებს, როგორ გართვით თავი საშინაო დავალებას. ვისაც 56-ე ამოცანა არ გასჭირვებია, გამოვიდეს დაფასთან და გაგვაცნოს ამოხსნის საკუთარი ვერსია!“

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 35

მე-6 კლასელი მოსწავლე ამბობს: „თუ გაკვეთილის ახსნის დროს რამეს ვერ ვიგებთ და კითხვებს ვსვამთ, მასწავლებელი გვეუბნება: – არ შემაწყვეტინოთ, კითხვები დაიმახსოვრეთ და ახსნას რომ დავასრულებ, მერე მკითხეთ“.

მასწავლებლის მიდგომა:

- ა) მართებულია, მასწავლებელი არ წყვეტს ახსნის პროცესს იმიტომ, რომ სხვა მოსწავლეებს ყურადღება არ გაეფანტოთ.
- ბ) არ არის მართებული, სჯობს მასწავლებელმა თავად ჩაინიშნოს კითხვა, რომ მოსწავლეს გაკვეთილის ბოლოსთვის არ გადაავიწყდეს მისი დასმა.
- გ) მართებულია, რადგან მასწავლებელი კითხვებზე პასუხს ბოლოსთვის იტოვებს და ამით ცდილობს, რომ არ დაარღვიოს ახსნის თანმიმდევრულობა.
- დ) არ არის მართებული, რადგან კითხვებზე პასუხის გადავადებით შეიძლება მოსწავლეს გაუჭირდეს საკითხის არსის გაგება და დაკარგოს მოტივაცია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 36

ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა ახალი საკითხი - ბუნებრივი გადარჩევის შედეგები. გაკვეთილის ახსნის დროს მან გამოიყენა „გონებრივი რუკების“ მეთოდი.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მასწავლებლის მიერ ახალი საკითხის ახსნის დროს „გონებრივი რუკების“ გამოყენების ძირითადი მიზანი?

- ა) მასწავლებლის მიზანია, რომ მოსწავლეებს დაეხმაროს ბუნებრივი გადარჩევის შესახებ ერთიანი წარმოდგენის შექმნაში, ამ ინფორმაციის ორგანიზებაში.
- ბ) მასწავლებლის მიზანია, რომ მოსწავლეების ყურადღება მიმართოს მხოლოდ ბუნებრივი გადარჩევის საკითხზე და არ გადაერთოს სხვა, თუნდაც მასთან დაკავშირებულ თემებზე.
- გ) მასწავლებლის მიზანია, რომ მცირე დროში მიაწოდოს მოსწავლეებს ამომწურავი ინფორმაცია ბუნებრივი გადარჩევის შესახებ, მასალის ვიზუალიზაცია კი ნაკლებ შეკითხვებს გააჩენს.
- დ) მასწავლებლის მიზანია, რომ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს ახალ საკითხთან, ბუნებრივ გადარჩევასთან დაკავშირებული ქვესაკითხების დამახსოვრებაში.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 37

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაში არ არის გათვალისწინებული მონტესორის სკოლის პრინციპები?

- ა) მონტესორის სკოლაში მოსწავლეები ხშირად მუშაობენ პრაქტიკულ პროექტებსა და კვლევებზე, მაგრამ მათ არ აფასებენ, არ უწერენ ნიშნებს.
- ბ) მონტესორის სასკოლო გარემოში სოციალური შეზღუდვები მინიმუმამდეა დაყვანილი, ყველა ბავშვი თანასწორუფლებიანია, თანაბარი უფლებები აქვთ უფროსებსა და ბავშვებსაც.
- გ) მონტესორის სკოლაში მნიშვნელოვანია მასწავლებლის ხელმძღვანელობით ჯგუფური გაკვეთილების ჩატარება და არა მოსწავლის ინდივიდუალური არჩევანი.
- დ) მონტესორის სკოლაში თითოეულ მოსწავლეს განსაზღვრული მოვალეობა აქვს დაკისრებული, ასევე, ბავშვებს ეკრძალებათ ერთმანეთთან ჩხუბი და ხელის შეშლა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 38

მასწავლებლის მიერ სწორად წარმართული დისკუსია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, უფრო ღრმად, გააზრებულად ჩასწვდნენ და განიხილონ შესასწავლი საკითხი.

იმისათვის, რომ დისკუსია სწორად წარმართოს და ეფექტიანი იყოს:

- ა) მასწავლებელი ფასილიტაციას უნდა უწევდეს დისკუსიას, რომ მოსწავლეებმა კონკრეტული საკითხიდან არ გადაუხვიონ.
- ბ) მასწავლებელი უნდა აფასებდეს დისკუსიის შინაარსობრივ მხარეს - მოსწავლეთა მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს.
- გ) მასწავლებელმა სადისკუსიო თემის განსაზღვრა, კითხვების ფორმულირება და პროცედურების შემუშავება მოსწავლეებს უნდა მიანდოს.
- დ) მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს გაკვეთილი, რომ დისკუსიაში არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ თვითონაც აქტიურად იყოს ჩართული.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 39

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაეხმარება მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების გამოყენებაში?

- I. მასწავლებელმა ახალი მასალის ახსნის შემდეგ მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის ბარათები დაურიგა და სთხოვა, მწვანე ბარათზე დაეწერათ, რა საკითხი გაიგეს და ყვითელზე - რა ვერ გაიგეს. მას სურდა შეეფასებინა, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა განხილული თემა.
- II. მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა ამოცანა. სთხოვა, რომ დეტალურად აღეწერათ ის ნაბიჯები, რომლითაც ისინი საბოლოო პასუხამდე მივიდნენ. მას სურდა შეეფასებინა, თუ რამდენად რაციონალური გზა ჰქონდათ მოსწავლეებს არჩეული.
- III. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, რომ სახლში დაემზადებინათ სამგანზომილებიანი მაკეტი თემაზე „ჩვენი გალაქტიკა“. მასწავლებელს სურდა, ორიგინალური მოდელის ავტორი მოსწავლეები მაღალი ქულით შეეფასებინა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 40

ჩამოთვლილთაგან რომელ მაგალითში ჩანს, რომ მასწავლებელი იყენებს როჯერსის თეორიის პრინციპებს?

- ა) მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობისათვის წახალისებს მოსწავლეს.
- ბ) მასწავლებელი არ იმჩნევს მოსწავლის ცუდ საქციელს, არ აძლევს შენიშვნებს და განაგრძობს სხვა მოსწავლეებთან მუშაობას.
- გ) მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის შინაგან სამყაროს, აძლევს დავალებას და სთხოვს, რომ მუშაობის ფორმა თავად აირჩიოს.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეს აფასებს საკუთარი წარმოდგენიდან გამომდინარე და ირჩევს მასთან ურთიერთობის შესაბამის სტრატეგიას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 41

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული რომელი რჩევა/რჩევები იქნება ეფექტიანი მათი ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებისათვის?

- I. მნიშვნელოვანია განსხვავებული აზრის გათვალისწინება - ეს დაგეხმარებათ, უკეთ შეაფასოთ თქვენი შესაძლებლობები.
- II. შეეცადეთ, თქვენი პასუხები თანაკლასელების პასუხებზე უკეთესი იყოს - ეს იქნება სტიმული თქვენი განვითარებისთვის.
- III. სქემის გამოყენებით შეაფასეთ საკუთარი ნამუშევრები, რათა ობიექტურად დაინახოთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და III
 - გ) მხოლოდ II
 - დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

დავალებებს 42.1, 42.2 და 42.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

42.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

42.2 და 42.3 - დავალებები ღიადაბოლოებიანია. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალეზა 42

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მოსწავლეების მიღწევები კავშირშია მასწავლებლების მაღალ მოლოდინებთან და მათ სიცხადესთან (Brophy 1985, 1987; Brophy & Good, 1986). დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეს ყველაზე მეტად აზარალებს ის პედაგოგი, რომელსაც მოსწავლის სწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით სტერეოტიპები ჩამოუყალიბდა, მაგალითად, მიიჩნევს, რომ სასკოლო მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა ყველასათვის მისაწვდომი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგების ძირითადი გზავნილი ყველა მოსწავლის, განსაკუთრებით კი დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეების მიმართ იყოს – „სწავლა ყველას შეუძლია“. მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები ამ რწმენას მომავალ მასწავლებლებშიც უნდა აყალიბებდეს. (National Council for Accreditation of Teacher Education, 2008; გვ. 90).

მასწავლებლის სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც სწავლასთანაა დაკავშირებული, აყალიბებს დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეთა მიმართ „ნეგატიურ“ მოლოდინებს, რაც, ცხადია, აისახება მოსწავლის მოტივაციასა და მიღწევებზე.

კვლევები აჩვენებს, რომ ისეთი მოსწავლეებიც კი, რომელთაც დაბალი აკადემიური მიღწევები და სწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით სტერეოტიპული შეხედულებები აქვთ (მაგალითად, სწავლის უნარი ფიქსირებულია, ყველას არ შეუძლია სწავლა), ახერხებენ დავალების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას მაშინ, როდესაც სოციალური შედარების ნაცვლად მათ უსახავენ განვითარების მიზნებს (Butler, 2006, T. Thompson & Musket, 2005). დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეების მოტივაციისათვის

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დამანგრეველია შეჯიბრის საკლასო ატმოსფეროს შექმნა, როდესაც მოსწავლეებს წაახალისებენ, რათა საუკეთესო შედეგები აჩვენონ ანდა საკუთარი მიღწევები სხვებისას შეადარონ (Ames, 1984; Nicholls, 1989). ატრიბუციული უკუკავშირის მიწოდებამ (მაგალითად, „შენმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო“) შეიძლება განსაკუთრებული დახმარება გაუწიოს შედარებით დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს უკუკავშირს პოტენციურად პოზიტიური ეფექტი აქვს, იგი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რომ, პირიქით, დემოტივაციის საფუძველი ან დამთრგუნველი არ აღმოჩნდეს მოსწავლისათვის (Schunk, 2003).

არსებობს უკუკავშირის მიწოდების მეტად თუ ნაკლებად ეფექტიანი ფორმები. დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეები დიდ იმპულსს იღებენ, როდესაც უკუკავშირი მოიცავს დახმარების შეთავაზებას ან კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა დაეხმარება მათ, გააუმჯობესონ საკუთარი შედეგი (Rakoczy et al., 2008, გვ. 119). ნეგატიური და პოზიტიური უკუკავშირის ეფექტიანობა მსჯელობის საგანია. სხვადასხვა შემთხვევაში ეფექტი განსხვავებული შეიძლება იყოს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მაღალი აკადემიური მიღწევის მოსწავლეების შემთხვევაში. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივი, მკაფიო განმავითარებელი უკუკავშირი, ხოლო დაგვიანებული უკუკავშირი კი შესაძლოა უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის (უკუკავშირის მიწოდება მას შემდეგ, რაც თავად სცადეს ამოხსნის გზის მოძებნა).

(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები მე-9 კლასი“, ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
- [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.1

ტექსტში აღწერილი კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ა) კლასში შეჯიბრის ატმოსფეროს შექმნა ერთნაირად უარყოფითად მოქმედებს როგორც დაბალი, ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლის მოტივაციაზე.
- ბ) დაბალი აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლისათვის წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია დავალების შესრულების დროს მიმანიშნებელი კითხვების დასმა.
- გ) მასწავლებლის უკუკავშირი - „შენს მუშაობას კარგი შედეგი მოჰყვა“ - განსაკუთრებით ბიძგის მიმცემია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლისათვის.
- დ) დროული უკუკავშირი თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მაღალი, ასევე დაბალი აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლეების წარმატებისათვის.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.2

მაქსიმალური ქულა - 3

- როჯერსის ჰუმანისტურ თეორიაზე დაყრდნობით ახსენით, რატომ აზარალებს მოსწავლეს მასწავლებლის სტერეოტიპული დამოკიდებულება მისი „ფიქსირებული შესაძლებლობების“ შესახებ? *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.3

მაქსიმალური ქულა - 3

- მოიყვანეთ განმავითარებელი უკუკავშირის კონკრეტული მაგალითი და ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი უკუკავშირი მოსწავლის წარმატებისათვის? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

კრიტიკული აზროვნების უნარი ყველაზე მჭიდროდ ბლუმის ტაქსონომიის მაღალ საფეხურებთან - სინთეზსა და შეფასებასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სწავლების დროს, მასწავლებელი ისეთ მეთოდებს უნდა იყენებდეს, რომლებიც მოსწავლეებს აზროვნების ზედა დონეების ამოქმედებაში დაეხმარება.

- აღწერეთ სწავლების ერთი მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლის აზროვნების ზედა დონეების (სინთეზის ან შეფასების) აქტივაციაში.
- განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ დასახელებული მეთოდი მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

კონფლიქტი სკოლის ცხოვრებაში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ის ხშირად მოსწავლეებს შორის, ანდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის პრობლემების საფუძველზე ჩნდება. კონფლიქტური სიტუაციების სწორად მართვა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა, თუმცა ბევრად უფრო ღირებულია ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც კონფლიქტის აღმოცენების რისკი მინიმალურია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, პედაგოგი კარგად იცნობდეს კონფლიქტის პრევენციის გზებს.

- აღწერეთ კონფლიქტის პრევენციის ორი გზა.
- განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს კონფლიქტის პრევენციის თქვენ მიერ დასახელებული გზა მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [7a](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#)
[30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)